მონიტორინგისჯგუფისდასკვნა

დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

| | |
|---|---|
| დაწესებულება | შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია „იბერია“ |
| საიდენტიფიკაციოკოდი | 245437772 |
| რეგიონი | აჭარა |
| რაიონი | ბათუმი |
| მისამართი | ბათუმი, თაყაიშვილის ქუჩა N5-7-9-11 |
| საფოსტოინდექსი | 6000 |
| დაწესებულებისვებ-გვერდი | http://iberia2001.ge/ |
| დაწესებულებისელ-ფოსტა | iberia2001@gmail.com |
| ტელეფონი/ფაქსი | 0422-27-01-05 |
| **დაწესებულების ხელმძღვანელი** | |
| სახელიდაგვარი | მადლენა მახარაძე |
| ტელეფონი | 555-49-79-27; 591-98-69-41 |
| ელ-ფოსტა | iberia2001@gmail.com |
| **დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობა** | |
| პედაგოგი | 27 |
| მოსწავლე/სსსმმოსწავლე | 79 / სკოლაში სსსმ მოსწავლე არ ფიქსირდება |
| **ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |
| გადაწყვეტილების ნომერი | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N35, 23/12/2014 წ.შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია „იბერიის“ავტორიზაციის შესახებ. |
| მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | 90 |

დაწესებულებაახორციელებს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

## მონიტორინგისჯგუფისდასკვნა

დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ☐

ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| მონიტორინგის განხორციელების საფუძველი | განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 15 დეკემბრის№799 ბრძანება |
| მონიტორინგის ჯგუფის წევრები | ნოდარ ანგურიძე (თავმჯდომარე),თეა სალუქვაძე(წევრი). |
| ვიზიტისგანხორციელების პერიოდი | 21-22 დეკემბერი, 2017 წელი |
| დასკვნის მომზადების თარიღი | 29 დეკემბერი, 2017 წელი |
| | |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

მონიტორინგისჯგუფისდასკვნა

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

## II. მატერიალურირესურსი

**2.1** დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს მრავალდარგობრივი გიმნაზია „იბერია“ ფუნქციონირებს ქ. ბათუმში,თაყაიშვილის ქუჩის N5-7-9-11-ში მდებარე ათსართულიანი სახლის პირველ და ე.წ. ანტრესოლის სართულზე. (იხ. დანართი 1, ამონაწერები საჯარო რეესტრიდან - თორმეტ ფურცლად) ფართის მესაკუთრე არის სკოლის დამფუძნებელი და დირექტორი მადლენა მახარაძე, სკოლა ფართს ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, განუსაზღვრელი ვადით (იხ. დანართი 2, იჯარის ხელშეკრულება - 4 ფურცლად). გადაცემული ფართის საერთო ოდენობა შეადგენს **506,5** კვ.მ.-ს.<br>პირველ სართულზე (საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებულია როგორც კომერციული ფართი) სკოლის სარგებლობაშია 77,61 კვ.მ, რომელსაც სკოლა იყენებს სპორტული დარბაზის, გასახდელებისა და სველი წერტილების დანიშნულებით.<br>სკოლის სარგებლობაში არსებული დანარჩენი ფართი(428,89 კვ.მ.) განთავსებულია შენობის ანტრესოლის სართულზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ამ ნაწილში. საგულისხმოა, რომ სკოლის შესასვლელი იზოლირებულია შენობის სხვა შესასვლელებისგან და სადარბაზო, რომლითაც სკოლა სარგებლობს, მხოლოდ სკოლას ეკუთვნის და სხვა სუბიექტი ვერ ისარგებლებს ამავე შესასვლელით. ამის გარდა, სკოლის სადარბაზოს წინ არსებული კორპუსის შიდა ეზოც იზოლირებულია და მასთან |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................

მონიტორინგისჯგუფისდასკვნა

| | |
|---|---|
| | მისასვლელი სკოლას გადაკეტილი აქვს რკინის ჭიშკრით (იხ. დანართი 3, საკადასტრო გეგმა - ერთ ფურცლად).<br>აღსანიშნავია, რომ ანტრესოლის სართულის ყველა ფართი არ არის სკოლის დამფუძნებლის საკუთრებაში და შესაბამისად არ არის სკოლის სარგებლობაში. დარჩენილია სამი ოთახი(იხ. დაშტრიხული ფართი,დანართი 4, ანტრესოლის შიდა აზომვითი ნახაზი - ორ ფურცლად, მათ შორის ერთი A3 ფურცელი), თუმცა სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ შენობის მეპატრონეებთან აქვს სიტყვიერი შეთანხმება, რომ ამ ფართს მომავალში აუცილებლად შეიძენს, რომელსაც შემდეგ გადასცემს სკოლას სარგებლობაში. |
| მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი | N05.23.09.003.01.518.007 – 77,61კვ.მ.;<br>N05.23.09.003.01.519.503 – 89,77კვ.მ.;;<br>N05.23.09.003.01.519.504 – 117,94კვ.მ.;<br>N05.23.09.003.01.519.505 – 65,42კვ.მ.;<br>N05.23.09.003.01.519.506 – 71,29კვ.მ.;<br>N05.23.09.003.01.519.507 – 84,47კვ.მ.; |
| დადასტურება/დანართი | ამონაწერები საჯარო რეესტრიდან (დანართი 1)<br>იჯარის ხელშეკრულება (დანართი 2);<br>საკადასტრო გეგმა(დანართი 3);<br>შიდა აზომვითი ნახაზი (დანართი 4). |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგისჯგუფისდასკვნა

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

| | |
|---|---|
| აღწერა | შენობაში არის 11 საკლასო ოთახი. გარდა საკლასო ოთახებისა არის სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, რომელიც ასევე ითავსებს სააქტო დარბაზის ფუნქციას, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის ოთახი, სასადილო ოთახი, დირექტორის კაბინეტი, ექთნის ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც განთავსებულია მეცხრე კლასის საკლასო ოთახში. საკლასო ოთახებში განთავსებულია 95 ერთადგილიანი მერხი, 94 მოსწავლის სკამი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ორი სამკითხველო მაგიდა 7 სკამით.<br>საკლასო ოთახები აღჭურვილია დაფებით, მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, საკიდებით და სხვასახვა სახის სასწავლო თვალსაჩინოებით. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერება;<br>შესყიდვის დოკუმენტები. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი. |

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

| | |
|---|---|
| აღწერა | როგორც ზემოთ აღინიშნა, სპორტული დარბაზი შენობის პირველ სართულზე მდებარეობს და ვიზიტის პერიოდისთვის მიმდინარეობდა გასახდელებისა და სველი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

| | |
|---|---|
| | წერტილების დასრულების სამუშაოები. თავად სპორტული მოედანი გარემონტებულია და დასრულებულია სარემონტო სამუშაოები. სპორტულ დარბაზში განთავსებულია ერთი ჩოგბურთის მაგიდა და შვედური კედელი. სკოლას ასევე აქვს 3 ჭადრაკის დაფა.აღნიშნული ინვენტარი შეესაბამება სკოლის მიერ არჩეულ სპორტის სახეობებს - მაგიდის ჩოგბურთს, ტანვარჯიშსა და ჭადრაკს. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერება.<br>სპორტული ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტები; |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი. |

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

| | |
|---|---|
| აღწერა | ერთ-ერთი საკლასო ოთახის გავლით განთავსებულია ლაბორატორია, რომელშიც დამონტაჟებულია წყლის ონკანი ნიჟარით. ოთახში არ არის გამწოვი, მაგრამ არის პატარა სარკმელი საიდანაც შესაძლებელია ოთახის განიავება. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სტანდარტული კომპლექტი განთავსებულია კარადებში. აქვე არის სადემონსტრაციო მაგიდა. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერება, შესყიდვის დოკუმენტაცია. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................................

| | |
|---|---|
| | პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტი. |

**2.2** სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა დაგათბობის საშუალებები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის საკლასო ოთახები ნათდება როგორც ბუნებრივი ასევე ელექტრო განათების საშუალებით. ოთახები გათბობის ცენტრალური სისტემით თბება. სკოლაში განთავსებულია ხუთი სველი წერტილი. ორი ბიჭებისათვის , ორი გოგონებისათვის და ერთიც სსსმ მოსწავლისათვის. სკოლა წარმოადგენს შპს „ბათუმის წყალის,“ ენერგო პრო ჯორჯიას, სილქნეტის და შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ აბონენტს და ამ კომპანიებიდან შეუფერხებლად მიეწოდება წყალი, ინტერნეტი, ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია. სკოლას აქვს ელექტრო ენერგიით მომარაგების ალტერნატიური საშუალება -- ელექტრო გენერატორი. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერება;<br>გენერატორის შესყიდვის დოკუმენტი;<br>კომუნალური გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტები. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. |

**2.3** სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია ელექტრონულ კატალოგში - ექსელში და მატერიალური სახით - საინვენტარო წიგნში. სასკოლო გრიფირებული სახელმძღვანელოების რაოდენობა არის 101 ერთეული, ხოლო დამხმარე და მხატრული ლიტერატურა განისაზღვრება 515 ერთეულით. ბიბიოთეკაში არსებობს მკითხველთა ფორმულარები, კედელზე გამოკრულია ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები.<br>გარდა ამისა, სკოლის ვებ-გვერდზე მოცემულია ინფორმაცია სკოლის წიგნადი ფონდის, ბიბლიოთეკის დებულებისა და და მკითხველთა უფლებების შესახებ - http://iberia2001.ge/index.php?m1=6&rf=text&lang=ge#.Wj-W0VWWbIU |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერება;<br>წიგნების ჩუქებისა და შესყიდვის დოკუმენტები;<br>ბიბლიოთეკის დებულება;<br>სკოლის ვებ-გვერდი http://iberia2001.ge/index.php?m1=6&rf=text&lang=ge#.Wj-W0VWWbIU . |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. |

**2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას აქვს ორი შესასვლელი. ერთი დამოუკიდებელი შესასვლელი მთავარი შესასვლელია, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი და რომელზეც პანდუსი არ არის. ხოლო |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................

| | |
|---|---|
| | მეორე შესასვლელი სკოლას გათვლილი აქვს, როგორც სათადარიგო, საევაკუაციო გასასვლელად და გეგმავს პანდუსი ამ გასასვლელზე მოაწყოს. ამ შესასვლელით სარგებლობისას სკოლაში შესვლა შესაძლებელია კიბის ორი, დიდი და მცირე ბაქნის გავლის საშუალებით. მცირე ბაქანით მხოლოდ სკოლა სარგებლობს, რომელზეც სკოლამ ვიზიტის პერიოდში მოაწყო ხის გადასატანი პანდუსი, რაც შეეხება დიდ ბაქანს, ის საერთოა კორპუსის ყველა მცხოვრებისთვის და სკოლის დირექტორის განმარტებით, მშენებლები გეგმავენ საერთო პანდუსის მოწყობას, რომლითაც შემდეგ სკოლაც ისარგებლებს. მიუხედავად ამისა, ვიზიტის პერიოდში, პანდუსის მოსაწყობად არანაირი სამუშაოები არ მიმდინარეობდა.<br>ამის გარდა, პირთა იმ კატეგორიისთვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას, დასასრულებელია სველი წერტილის მოწყობა, კერძოდ სრული ადაპტირებისათვის სველი წერტილი საჭიროებს საყრდენების დამონტაჟებას. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერება; |
| შეფასება | **დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.** |

**2.5** სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........

(სპეციფიკაციები) არაუმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდიასრულებსსაკომუნიკაციოდასაინფორმაციოფუნქციას

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას მფლობელობაში აქვს 2 ლეპტოპი და 5 კომპიუტერი, მათგან ორი კომპიუტერი და ერთი ლეპტოპი განთავსებულია კომპიუტერულ კლასში, ორი კომპიუტერი ბიბლიოთეკაში, ხოლო ერთი კომპიუტერი და ერთი ლეპტოპი დირექტორის კაბინეტში სკოლას გააჩნია ვებ გვერდი- http://iberia2001.ge/ , რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. სკოლის შენობაში ყველგან ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერება;<br>კომპიუტერების ფლობის დოკუმენტაცია;<br>ვებ გვერდი - http://iberia2001.ge/ . |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.<br>დაკმაყოფილებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე“ რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N572 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი. |

**2.6** სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგისჯგუფისდასკვნა

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის **2007** წლის **29** აგვისტოს **№1143** ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. პირველ და ანტრესოლის სართულებზე განთავსებილია 2-2 ცეცხლმაქრი. სკოლას აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მედიკამენტები, ჰყავს ექთანი რომელთანაც დადებულია შესაბამისი ხელშეკრულება. გამოყოფილია ექთნის ოთახი, სადაც მოწყობილია ონკანი ნიჟარით, დგას სამედიცინო ტახტი და მაგიდა, არის მცირე კარადა პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებებისთვის. ექთანი აწარმოებს ავადმყოფთა ჩაწერის წიგნს, მისი მოვალეობები გაწერილია ექთნის დებულებაში და შინაგანაწესში.<br>სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის უსაფრთხო გარემოს მარეგულირებელი დოკუმენტი, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ინსტრუქცია.<br>მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით სკოლაში მორიგეობენ მასწავლებლები და დასვენების დროს უფროსკლასელები. დამრიგებლებს ევალებათ შესვენების დროს თვალყური ადევნონ მოსწავლეთა უსაფრთხოებას. სკოლას არ ჰყავს დარაჯი, კარისკაცი, ან დაცვა. სკოლის ანტრესოლის სართულის შესასვლელი დაკეტილია და შესვლის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................

| | |
|---|---|
| | მსურველი ზარის დარეკვის შემდეგ მორიგის გავლით მოხვდება სკოლის შენობაში. სკოლის შიდა პერიმეტრზე დაყენებულია 7 კამერა, მათ შორის 3 დერეფანში, 1 სკოლის მთავარ შემოსასვლელზე შიდა მხრიდან, 1 სპორტულ დარბაზში, 1 სააქტო დარბაზში, 1 კომპიუტერულ კლასში. გარდა ამისა 3 გარე კამერა დაყენებულია შემოსასვლელებზე, 2 მთავარ შემოსასვლელზე, 1 სათადარიგოზე. გარე კამერების პარამეტრები შეესაბამება მოთხოვნილ პარამეტრებს. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერება;<br>კამერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>სკოლის უსაფრთხო გარემოს მარეგულირებელი დოკუმენტი;<br>სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ინსტრუქცია;<br>დირექტორთან გასაუბრება. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.გ" ქვეპუნქტი. |

**2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები**

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებას აქვს წესდება და შინაგანაწესი. გარდა ამისა, სკოლას თავის საქმიანობის წარმართვისთვის შემუშავებული აქვს დოკუმენტები: საგნობრივი კათედრის დებულება, მშობლის ცნობარი.<br>სკოლის წესდება საჭიროებს განახლებას, რადგან მისი მიღების შემდეგ სკოლამ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................

| | |
|---|---|
| | შეიცვალა მფლობელები და ორის ნაცვლად ამჟამად მხოლოდ ერთი მფლობელია, (იხ. დანართი 5 - სკოლის წესდება - 8 ფურცლად) |
| დადასტურება/დანართი | წესდება (დანართი 5);<br>შინაგანაწესი;<br>საგნობრივი კათედრის დებულებები. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი. |

**2.8** **შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) დაერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაცასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს განვითარების ექვსწლიანი/გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა (2014-2020 წწ) და 2017-2018 სასწავლო წლის განვითარების ერთწლიანი გეგმა. რომელიც ითვალისწინებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, კლასგარეშე და სკოლის გარეშე აღმზრდელობით მუშაობას და სხვა. |
| დადასტურება/დანართი | სკოლის ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები; |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

**2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს საქმის წარმოების ერთიანი წესი.<br>დირექტორის ბრძანებები სამი კატეგორიის საქაღალდეებშია განაწილებული; ბრძანებები მოსწავლეთა მოძრაობის შესახებ, მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა დანიშვნა/გათავისუფლების ბრძანებები და და სხვა სახის ბრძანებები. სარეგისტრაციო ჟურნალები გაკეთებულია კატეგორიების შესაბამისად.<br>ასევე რამდენიმე კატეგორიადაა დაყოფილი გასული და შემოსული კორესპოდენციების აღრიცხვის ჟურნალები და მათი შესაბამისი საქაღალდები, კერძოდ: სამინისტროდან და რესურსცენტრიდან შემოსული ბრძანებები და წერილიბი; სხვადასხვა უწყებიდან შემოსული წერილები; შემოსული განცხადებები, წერილები და საჩივრები; მოსწავლეთა მოთხოვნები; შემოსული ელექტრონული წერილები; გასული ცნობები; გასული წერილები. გარდა ამისა სკოლა ახორციელებს შრომითი ხელშეკრულებებისა და სხვადასხვა დაწესებულებებთან და ორგანიზციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების რეგისტრაციას. |
| დადასტურება/დანართი | შემოსული და გასული კორესპონდეციების აღრიცხვის ჟურნალები;<br>ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი;<br>ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი;<br>ჟურნალების შესაბამისი საქაღალდეები, რომელშიც დაცულია კორესპოდენციები, ბრძანებები ან/და მათი ასლები. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

მონიტორინგისჯგუფისდასკვნა

| | |
|---|---|
| | პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი. |

თანდართული დოკუმენტაცია

1. დანართი 1 - ამონაწერები საჯარო რეესტრიდან - თორმეტ ფურცლად;
2. დანართი 2 - იჯარის ხელშეკრულება - 4 ფურცლად;
3. დანართი 3 - საკადასტრო გეგმა - ერთ ფურცლად;
4. დანართი 4 - შიდა აზომვითი ნახაზი - ორ ფურცლად, მათ შორის ერთი A3 ფურცელი;
5. დანართი 5 - სკოლის წესდება - რვა ფურცლად;
6. დანართი 6 - მონიტორინგის ჯგუფთან სამუშაოდ გამოყოფილი პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება N01-03/39 - ერთ ფურცლად;
7. დანართი 7 - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 15 დეკემბრის №799 ბრძანების დაწესებულების მიერ გაცნობის დასტური - ორ ფურცლად.

| | |
|---|---|
| სულ დანართი 7 | 30 (ოცდაათი) ფურცლად |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................